№ 597
25.10.2010 წ.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1-542

ქ. თბილისი „19" 10 2010წ.

### ი/მ „ნატალია ხომასურიძე-ზეტადენტი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ი/მ „ნატალია ხომასურიძე-ზეტადენტი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ი/მ „ნატალია ხომასურიძე-ზეტადენტი"-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ „ნატალია ხომასურიძე-ზეტადენტი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი ი/მ „ნატალია ხომასურიძე-ზეტადენტი"-ს განცხადება.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს, ი/მ „ნატალია ხომასურიძე-ზეტადენტი"-ს.*